საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/29 **13/11/2023**

რეცენზია

ონლაინ სასწავლო მოდულზე „გულის უკმარისობის მართვა პირველად ჯანდაცვაში“

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირს რეცენზირებისთვის წარედგინა ონლაინ სასწავლო მოდული „გულის უკმარისობის მართვა პირველად ჯანდაცვაში“.

გულის უკმარისობა წარმოადგენს მნიშვნელოვან კლინიკურ პრობლემას, რომლის პრევენცია და ადეკვატური მართვა თავიდან აგვაცილებს მასთან დაკავშირებულ ჰოსპიტალიზაციას და ხელს შეუწყობს სიკვდილიანობის შემცირებას.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველო განეკუთვნება მაღალი კარდიო-ვასკულური რისკის ქვეყანათა რიგს, ხოლო გულის უკმარისობის განვითარების უხშირესი რისკ-ფაქტორები სწორედ გულის იშემიური დაავადება და არტერიული ჰიპერტენზიაა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გულის უკმარისობის ეფექტური მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე, რადგანაც მრავალრიცხოვანი კვლევებით დადგენილია, რომ ის მიეკუთვნება ამბულატორიული ზრუნვისადმი სენსიტიურ პათოლოგიას, რომლის ადეკვატური მართვაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დაავადების არასასურველ გამოსავლებს.

წარმოდგენილი ონლაინ სასწავლო „გულის უკმარისობის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ ეფუძნება განახლებულ ეროვნულ პროტოკოლს, რაც ხელს შეუწყობს პროტოკოლის რეკომენდაციების პრაქტიკულ დანერგვას.

ონლაინ სასწავლო მოდულში განხილულია გულის უკმარისობის მართვის ძირითადი ელემენტები, როგორიცაა:

- პირველადი ჯანდაცვის დონეზე განსახორციელებელი ჩარევები
- მოციმციმე არითმიის მართვის სტანდარტიზებული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის მულტიდისციპლინური გეგმა
- სპეციალისტთან ან ჰოსპიტალში რეფერალის და უკურეფერალის კრიტერიუმები
- მეთვალყურეობა ჰოსპიტალიზაციის შემდეგ
- გულის უკმარისობის მართვის პრინციპები გამწვავების საწყის ეტაპზე.

ონლაინ სასწავლო მოდული ვიზუალურად საინტერესოა, მოიცავს ინტერაქტიურ სავარჯიშოებსა და კლინიკურ შემთხვევებს, რაც ხელს უწყობს რეკომენდაციების პრაქტიკულ გამოყენებას.

ასევე, ონლაინ ფორმატი ზრდის დიდი რაოდენობით პროფესიონალების ერთდროულად გადამზადების შესაძლებლობას.

დასასრულ, წარმოდგენილი ონლაინ სასწავლო მოდული „გულის უკმარისობის პირველად ჯანდაცვაში“ წარმოადგენს კარგად მომზადებულ კურსს პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის და იმ სპეციალისტებისთვის, რომელთაც უწევთ გულის უკმარისობით დაავადებული პაციენტების მართვა, რომლის გავლის შედეგად მოსალოდნელია დაავადების მართვის ხარისხის გაუმჯობესება და გულის უკმარისობით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილიანობის შემცირება.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევთ ონლაინ სასწავლო მოდულის „გულის უკმარისობის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ დამტკიცებას უპგ საბჭოზე.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.11.13 10:16:47